საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასათიანი გურამ პორფილეს ძე

ასათიანი გურამ პორფილეს ძე (დ. 29. III. 1927, ქ. ოზურგეთი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1971). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1950). თსუ-ის დიალექტ. და ისტ. მატერიალიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1954–58), დოცენტი (1958–69), თსუ-ის ეთიკისა და მეცნ. ათეიზმის კათედრის გამგე (1979–86). მარქსიზმ-ლენინიზმის უნ-ტის ფილოს. კათედრის გამგე (1975–80). ქართ. ენციკლოპედიის ფილოს. და ფსიქოლ. ჯგუფის ხელმძღვანელი (1976-იდან). კვლევის ძირითადი მიმართულებებია: საზ-ბის სოც. სტრუქტურისა და პოლიტ. ორგანიზაციის განვითარების, ეთიკურისა და პოლიტიკურის სინთეზის კანონზომიერებათა კვლევა, თანამედროვე დასავლური სოციოლოგიის ანალიზი.

თხზ.: თანამედროვე დასავლეთგერმანული. პოლიტიკური ფილოსოფია, თბ., 1966; საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, თბ., 1969; თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია, თბ., 1987; О развитии социальной структуры советского общества, «Философские науки», 1977, № 5; Über die Entwicklung der sozialen Struktur der Gesellschaft in der UdSSR. «Georgica», Jena – Tbilissi, 1979.